დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი	საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები , არსებობის შემთხვევაში:
2004 წლის 21 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც შეეხება გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციასა და დაზიანებული გარემოს აღდგენას	№1. საქართველოს კანონის პროექტი ,,გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ №2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი №3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის N61 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“ №4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი №5. საქართველოს კანონი ,,გარემოს დაცვის შესახებ“ №6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი №7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო

1	2	3	4	5	6	7

მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	მოცემული დირექტივის მიზანია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სტრუქტურის განსაზღვრა „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპის საფუძველზე, გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მიზნით.				ას	„ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების დანართი XXVI-ის (გარემოს დაცვა) შესაბამისად, საქართველოსთვის სავალდებულოა 2004/35/EC დირექტივის შემდეგი მუხლები: 3(1)(a), 5, 6, 7, 8, 9, 10, 11 12, 13; დანართი II, III;
2.1	ამ დირექტივის მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები: „გარემოსთვის ზიანის მიყენება“ ნიშნავს: (a) დაცული სახეობებისთვის და ბუნებრივი ჰაბიტატებისთვის მიყენებულ ზიანს, რაც შეიძლება იყოს ნებისმიერი ზიანი, რომელსაც მნიშვნელოვანი უარყოფითი				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

	ზემოქმედება გააჩნია ასეთი ჰაბიტატების ან სახეობების კონსერვაციისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევაზე ან შენარჩუნებაზე. ასეთი ზემოქმედებების მნიშვნელობა უნდა შეფასდეს საბაზისო მდგომარეობის გათვალისწინებით, დანართში I მოცემული კრიტერიუმების მხედველობაში მიღების საფუძველზე; დაცული სახეობებისთვის ან ბუნებრივი ჰაბიტატებისთვის მიყენებულ ზიანში არ იგულისხმება ადრე გამოვლენილი უარყოფითი ზემოქმედებები, რომლებიც გამოწვეულია იმ ოპერატორის ზემოქმედების შედეგად, რომელსაც შესაბამისი ორგანოებისგან საამისოდ შესაბამისი უფლებამოსილება მიენიჭა იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც ახორციელებენ დირექტივის 92/43/EEC მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს ან მე-16 მუხლს ან დირექტივის 79/409/EEC მე-9 მუხლს, ან, იმ ჰაბიტატებისა და სახეობების შემთხვევაში, რომლებზეც არ ვრცელდება გაერთიანების კანონი, ბუნების კონსერვაციის შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი პირობების თანახმად. (b) წყლის ზიანი, ნიშნავს ნებისმიერ ზიანს, რომელსაც მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გაჩნია:					

2.2	(i) შესაბამისი წყლების ეკოლოგიურ, ქიმიურ ან რაოდენობრივ მდგომარეობაზე ან ეკოლოგიურ პოტენციალზე, როგორც ეს განსაზღვრულია 2000/60 EC დირექტივაში, იმ უარყოფითი ზეგავლენის გამოკლებით, რომელზეც ზემოთ აღნიშნული დირექტივის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი ვრცელდება. ან (ii) შესაბამისი საზღვაო წყლების გარემოსდაცვითი სტატუსი, როგორც ეს განსაზღვრულია 2008/56 EC დირექტივით, რამდენადაც საზღვაო გარემოსდაცვითი სტატუსის ზოგიერთი ასპექტი არ არის ასახული დირეტივით 2000/60 EC. (c) მიწის ზიანი წარმოადგენს მიწის ნებისმიერ დაბინძურებას, რაც ქმნის ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვან რისკს მიწაში, მიწაზე ან მიწის ქვეშ ნივთიერებების, პრეპარატების, ორგანიზმების ან მიკროორგანიზმების პირდაპირი თუ ირიბი შეყვანის შედეგად; „ზიანი“ ნიშნავს შეფასებად უარყოფით ცვლილებას ბუნებრივ რესურსებში, ან ბუნებრივი რესურსების მომსახურების შეფასებად გაუარესებას, რაც შეიძლება მოხდეს პირდაპირ თუ ირიბად;					

2.3	„დაცული სახეობები და ბუნებრივი ჰაბიტატები“ ნიშნავს: (a) სახეობებს, რომლებიც აღნიშნულია დირექტივის 79/409/EEC მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში ან მისავე დანართში I, ან რომლებიც ჩამოთვლილია დირექტივის 92/43/EEC დანართებში II და IV; (b) იმ სახეობების ჰაპიტატებს, რომლებიც აღნიშნულია დირექტივის 79/409/EEC მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში ან მისავე დანართში I, ან რომლებიც ჩამოთვლილია დირექტივის 92/43/EEC დანართში II, ასევე ბუნებრივ ჰაპიტატებს, რომლებიც ჩამოთვლილია დირექტივის 92/43/EEC დანართში I, და დირექტივის 92/43/EEC დანართში IV ჩამოთვლილი სახეობების გამრავლების ან დროებით გასაჩერებელ ადგილებს; და (c) იმ შემთხვევაში, თუ ამას წევრი სახელმწიფო განსაზღვრავს, იმ ნებისმიერ ჰაბიტატს ან სახეობას, რომელიც აღნიშნულ დანართებში არ არის ჩამოთვლილი და რომელსაც წევრი სახელმწიფო განსაზღვრავს ისეთივე მიზნებისთვის, რაც გააჩნია ზემოთ აღნიშნულ ორ დირექტივაში მოცემულ ჰაბიტატებს ან სახეობას;					
2.4	„კონსერვაციის სტატუსი“ ნიშნავს: (a) ბუნებრივ ჰაბიტატთან მიმართებაში, ბუნებრივ ჰაბიტატსა და მის ტიპიურ					

	სახეობებზე ზემოქმედებათა ერთობლიობას, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მის გრძელვადიან ბუნებრივ გავრცელებაზე, სტრუქტურასა და ფუნქციებზე, ასევე მისი ტიპიური სახეობების ხანგრძლივ გადარჩენაზე, იმ წევრი სახელმწიფოების ევროპულ ტერიტორიაზე, სიტუაციის გათვალისწინებით, რომლებზეც ვრცელდება საერთაშორისო ხელშეკრულება, ან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან აღნიშნული ჰაბიტატის ბუნებრივ დიაპაზონზე; ბუნებრივი ჰაბიტატის კონსერვაციის სტატუსი შეიძლება იყოს „ხელსაყრელი“ როდესაც: - მისი ბუნებრივი დიაპაზონი და ამ დიაპაზონის ფარგლებში არსებული ტერიტორიები მდგრადია და მზარდი; - არსებობს და შესაძლებელია პროგნოზირებად მომავალშიც განარძობდეს არსებობას სპეციფიური სტრუქტურა და ფუნქციები, რაც აუცილებელია მისი გრძელვადიანი მოვლა-შენარჩუნებისთვის, და - მისი ტიპიური სახეობების კონსერვაციული სტატუსი ხელსაყრელია, პუნქტში (b) განსაზღვრული პირობის შესაბამისად;					

	(b) სახეობასთან მიმართებაში, შესაბამის სახეობაზე ზემოქმედებათა ერთობლიობა, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს მისი პოპულაციების გრძელვადიან განაწილებასა და სიუხვეზე, იმ წევრი სახელმწიფოების ევროპულ ტერიტორიაზე, სიტუაციის გათვალისწინებით, რომელზეც საერთაშორისო ხელშეკრულება ვრცელდება, ან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან აღნიშნული სახეობის ბუნებრივ დიაპაზონზე; სახეობის კონსერვაციის სატატუსი შეიძლება იყოს აღქმული როგორც „ხელსაყრელი“, როდესაც: - შესაბამისი სახეობის პოპულაციის დინამიკის შესახებ მონაცემები მიუთითებენ, რომ იგი საკუთარ თავს ხანგრძლივად ინარჩუნებს, როგორც მისი ბუნებრივი ჰაბიტატების სიცოცხლისუნარიანი კომპონენტი; - სახეობის ბუნებრივი დიაპაზონი არ შემცირებულა და არც შემცირდება პროგნოზირებად მომავალშიც, და - არსებობს და შესაძლებელია მომავალშიც განაგრძოს არსებობა საკმარისად დიდმა ჰაბიტატმა იმისათვის, რათა ხელი შეეწყოს					

	მისი პოპულაციების ხანგრძლივ შენარჩუნებას;					
2.5	„წყლები“ ნიშნავს დირექტივით 2000/60/EC გათვალისწინებულ ყველა წყალს;					
2.6	„ოპერატორი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ, ან კერძო ან საჯარო პირს, რომელიც ახორციელებს ან მართავს პროფესიულ საქმიანობას, ან, თუ ეს განსაზღვრულია ადგილობრივ კანონმდებლობაში, რომელსაც გადაცემული აქვს გადამწყვეტი სამეურნეო უფლება ასეთი საქმიანობის ტექნიკური ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის, მათ შორის ასეთ საქმიანობაზე ნებართვის ან უფლებამოსილების მფლობელი, ან პირი, რომელიც ახდენს ასეთი საქმიანობის რეგისტრაციას ან მის შესახებ შეტყობინებას;					
2.7	„პროფესიული საქმიანობა“ ნიშნავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის, ბიზნესის ან წარმოების პროცესში, მიუხედავად იმისა, ეს საქმიანობა კერძო, საჯარო, კომერციული თუ არაკომერციულია;					
2.8	„ემისია“ ნიშნავს ადამიანის საქმიანობის შედეგად გარემოში ნივთიერებების, პრეპარატების, ორგანიზმების ან მიკროორგანიზმების გაშვებას;					

2.9	„ზიანის შეუქცევადი საშიშროება“ ნიშნავს გარემოსთვის ზიანის მიყენების საკმარის ალბათობას, რომელიც შეიძლება ახლო მომავალში მოხდეს;					
2.10	„აღმკვეთი ღონისძიებები“ ნიშნავს ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც მიიღება ისეთ მოვლენაზე, მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე რეაგირების მიზნით, რომელმაც წარმოშვა გარემოზე ზიანის მიყენების შეუქცევადი საშიშროება, აღნიშნული ზარალის აღკვეთისა და შემცირების მიზნით;					
2.11	„აღმოფხვრის ღონისძიებები“. ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას ან მოქმედებათა ერთობლიობას, მათ შორის შემარბილებელ ან შუალედურ ღონისძიებებს, დაზიანებული ბუნებრივი რესურსების და/ან გაუარესებული მომსახურებების აღდგენის, რეაბილიტაციისა და ჩანაცვლების მიზნით, ან აღნიშნული რესურსების ან მომსახურებებისთვის თანაბარი ალტერნატივის უზრუნველყოფის მიზნით, როგორც ეს გათვალისწინებულია დანართში II;					
2.12	„ბუნებრივი რესურსი“ ნიშნავს დაცულ სახეობებს და ბუნებრივ ჰაბიტატებს, წყალს და მიწას;					

2.13	„მომსახურება“ და „ბუნებრივი რესურსების მომსახურება“ ნიშნავს ბუნებრივი რესურსის მიერ შესრულებულ ფუნქციას სხვა ბუნებრივი რესურსის ან საზოგადოების სასარგებლოდ;					
2.14	„საბაზისო მდგომარეობა“ ნიშნავს მდგომარეობას, რომელიც არსებობს ბუნებრივი რესურსებისთვის და მომსახურებისთვის ზიანის მიყენების მომენტში, რომელიც შესაძლებელია ყოფილიყო, გარემოს ზიანი რომ არ მიყენებოდა და რომელიც შეფასებულია საუკეთესო არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით;					
2.15	„აღდგენა“, მათ შორის „ბუნებრივი აღდგენა“, წყლის, დაცული სახეობებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების შემთხვევაში, ნიშნავს დაზიანებული ბუნებრივი რესურსების და/ან გაუარესებული მომსახურებების საბაზისო მდგომარეობამდე მიყვანას, ხოლო მიწისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, ნიშნავს ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მქონე მნიშვნელოვანი რისკის აღმოფხვრას;					
2.16	„ხარჯები“ ნიშნავს ხარჯებს, რომელთა გაღებაც გამართლებულია მოცემული დირექტივის სათანადო და ეფექტური					

	განხორციელების უზრუნველყოფის საჭიროებით, მათ შორის ისეთ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსთვის ზიანის მიყენების, ასეთი ზიანის შეუქცევადი საშიშროების და სათანდო მოქმედების ალტერნატივების შეფასებასთან, ასევე ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და სააღსრულებო ხარჯებს, მონაცემთა შეგროვების ხარჯებს და სხვა ზოგადი ხასიათის ხარჯებს, მონიტორინგისა და ზედამხედველობის ხარჯებს.					
3.1.a	მოცემული დირექტივა ვრცელდება: (a) გარემოსთვის ზიანის მიყენებაზე, რომელიც გამოწვეულია დანართში III გათვალისწინებული რომელიმე პროფესიული საქმიანობის გამო და ნებისმიერი აღნიშნული საქმიანობის გამო გამოწვეული ზიანის ნებისმიერ შეუქცევად საშიშროებაზე;	N1

				ვალდებულების შეუსრულებლობით, საქმიანობის განმახორციელებელ პირს ეკისრება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა მიუხედავად მისი ბრალეულობისა. აღნიშნულ შემთხვევაში პირს ეკისრება მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და ამ მიზნით ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის ბრალეულობის დამტკიცება საჭირო არ არის;		
3.1.b 3.2	(b) დაცული სახეობებისა და ბუნებრივი ჰაპიტატებისთვის ნებისმიერი ზიანის მიყენებაზე, რაც გამოწვეულია ნებისმიერი პროფესიული საქმიანობით, გარდა იმ პროფესიული საქმიანობებისა, რომლებიც განსაზღვრულია დანართში III, ასევე ნებისმიერ შეუქცევად საშიშროებაზე, რომელსაც ადგილი აქვს რომელიმე აღნიშნული საქმიანობისას, სადაც ოპერატორს მიუძღვის ბრალი ან რომელიც მოხდა ოპერატორის დაუდევრობის გამო. მოცემული დირექტივა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ვრცელდება გაერთიანების შედარებით მკაცრ კანონმდებლობაზე, რომელიც არეგულირებს ნებისმიერი იმ საქმიანობის წარმოებას, რომელიც ექცევა მოცემული დირექტივის რეგულირების სფეროში; მოცემული დირექტივა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ვრცელდება ასევე				ას	იხილეთ დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

3.3	გაერთიანების იმ კანონმდებლობაზე, რომელიც მოიცავს წესებს იურისდიქციათა შეუთავსებლობის შესახებ. შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობის შეუზღუდავად, მოცემული დირექტივის საფუძველზე კერძო მხარეებს არ ეძლევათ კომპენსაციის უფლება გარემოსთვის ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის შეუქცევადი საშიშროების შედეგად.					
4.1

	დანართში IV ჩამოთვლილი რომელიმე საერთაშორისო კონვენციის, მასში შესაძლო სამომავლო ცვლილებების გათვალისწინებით, ფარგლებში, რომლებიც ძალაშია შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.					
4.3	მოცემული დირექტივა არ ზღუდავს ოპერატორის უფლებას შეზღუდოს საკუთარი პასუხისმგებლობა იმ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ასრულებს საზღვაო-სანაოსნო სარჩელებზე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული (LLMC) 1976 წლის კონვენციის პირობებს, მასში შესაძლო სამომავლო ცვლილებების გათვალისწინებით, ან სტრასბურგის 1988 წლის კონვენციას შიდა ნაოსნობის (CLNI) შესახებ, მასში სათანადო სამომავლო ცვლილებების გათვალისწინებით.					
4.4	მოცემული დირექტივა არ ვრცელდება რადიოაქტიური და სხივების რისკებზე ან გარემოსთვის ისეთი ზიანის მიყენებაზე ან ასეთი ზიანის მიყენების შეუქცევად საშიშროებაზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საქმიანობით, რომელსაც ითვალისწინებს ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების დამაარსებელი საერთაშორისო ხელშეკრულება, ან გამოწვეული იყოს ისეთი შემთხვევის ან საქმიანობის გამო, რომელთან მიმართებაშიც					

	პასუხსიმგებლობა ან კომპენსაცია ექცევა დანართში V მოცემული რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტის, მასში შესაძლო სამომავლო ცვლილებების გათვალისწინებით, ფარგლებში.					
4.5	მოცემული დირექტივა არ ვრცელდება გარემოსთვის ზიანის მიყენებაზე ან ასეთი ზიანის მიყენების შეუქცევად საშიშროებაზე, თუ ეს ზიანი გამოწვეულია ადვილად გავრცელებადი ხასიათის მქონე დაბინძურებით, როდესაც შესაძლებელია პირობითი კავშირის დამყარება ზიანსა და ინდივიდუალური ოპერატორების საქმიანობას შორის.					
4.6	მოცემული დირექტივა არ ვრცელდება ისეთ საქმიანობაზე, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ეროვნული თავდაცვისთვის ან საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის სამსახურის გაწევა, არც ისეთ საქმიანობაზე, რომლის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს ბუნებრივი კატასტროფებისაგან დაცვა.					
5.1	იმ შემთხვევაში, თუ გარემოსთვის ზიანი ჯერ კიდევ არ არის მიყენებული, მაგრამ არსებობს ასეთი ზიანის მიყენების შეუქცევადი საშიშროება, ოპერატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს აღმოფხვრის ღონისძიებები.	N1	4.1	მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხის წარმოშობისთანავე საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია: ა) გაატაროს ყველა აუცილებელი ღონისძიება მნიშვნელოვანი ზიანის პრევენცია/შერბილებისთვის.	სშ	
5.2	წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ, სადაც ეს შესაფერისია და ნებისმიერ					

	შემთხვევაში, როდესაც გარემოსთვის ზიანის მიყენების შეუქცევადი საშიშროება ლიკვიდირებული არ არის ოპერატორის მიერ მიღებული აღმოფხვრის ღონისძიებების მიუხედავად, ოპერატორებმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა აუწყონ კომპეტენტურ ორგანოს სიტუაციის ყველა შესაბამისი ასპექტის შესახებ.			ბ) თუ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი ღონისძიების გატარების მიუხედავად მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხე ლიკვიდირებული არ არის, საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს, სამინისტროს ცხელი ხაზის მეშვეობით;		
5.3.a	კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს: (a) მოსთხოვოს ოპერატორს ინფორმაციის მიწოდება გარემოსთვის ზიანის მიყენების ნებისმიერი შეუქცევადი საშიშროების შესახებ ან ასეთი შეუქცევადი საშიშროების შესაძლო შემთხვევების შესახებ;	N1	4.2	დეპარტამენტი უფლებამოსილია მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხის შესახებ (მათ შორის ნებისმიერი პირის მიერ დეპარტამენტში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე) საქმიანობის განმახორციელებელ პირს მოთხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ასეთ საფრთხესთან დაკავშირებით.	სშ	
5.3.b	(b) მოსთხოვოს ოპერატორს აუცილებელი აღმოფხვრის ღონისძიებების მიღება;	N1	4.3. „ა“	ამ მუხლის პირველი-მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ დადასტურდება მნიშვნელოვანი ზიანის გარდაუვალი საფრთხის არსებობა, დეპარტამენტი უფლებამოსილია საქმიანობის განმახორციელებელ პირს: ა) მოთხოვოს მნიშვნელოვანი ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;	სშ	
5.3.c	(c) მისცეს მითითებები ოპერატორს, რომელიც მან უნდა გაითვალისწინოს აუცილებელი აღმოფხვრის ღონისძიებების მიღებისას; ან	N1	4.3. „ბ“	ამ მუხლის პირველი-მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ დადასტურდება მნიშვნელოვანი ზიანის გარდაუვალი საფრთხის არსებობა,	სშ	

				დეპარტამენტი უფლებამოსილია საქმიანობის განმახორციელებელ პირს: ბ) მისცეს რეკომენდაციები, მნიშვნელოვანი ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.		
5.3.d	(d) თავად მიიღოს აუცილებელი აღმოფხვრის ღონისძიებები.	N1 N1 N1	4.6 4.7 14.1	თუ საქმიანობის განმახორციელებელი არ ასრულებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიას აუცილებელი ღონისძიებების განხორციელბასთან დაკავშირებით. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია აანაზღაუროს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამიდან ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით გაღებული ხარჯები. აღნიშნული თანხა მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე. გარემოსდაცვითი პროგრამის ძირითადი მიზნებია: ა) ზიანის პრევენცია; ბ) გარემოს მდგომარეობის აღდგენა;	სშ	

				გ) გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება; დ) გარემოს კვლევა.		
		N1	14.2	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის სახსრებს განკარგავს სამინისტრო, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.		
		N1	15.1	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.		
5.4	კომპეტენტურმა ორგანომ ოპერატორისგან უნდა მოითხოვოს აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება. თუ ოპერატორი ვერ შეასრულებს პუნქტით 1 ან პუნქტი 3-ის (b) ან (c) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ვალებულებებს, ან თუ შეუძლებელია ოპერატორის დადგენა ან თუ მას არ მოეთხოვება მოცემული დირექტივით გათვალისწინებული ხარჯების გაღება, კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს თავად გაატაროს ეს ღონისძიებები.	N1	4.3. “ა“	ამ მუხლის პირველი-მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ დადასტურდება მნიშვნელოვანი ზიანის გარდაუვალი საფრთხის არსებობა, დეპარტამენტი უფლებამოსილია საქმიანობის განმახორციელებელ პირს: ა) მოთხოვოს მნიშვნელოვანი ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;	სშ	
		N1	4.6	თუ საქმიანობის განმახორციელებელი არ ასრულებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს,		

				დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიას აუცილებელი ღონისძიებების განხორციელბასთან დაკავშირებით.		
		N1	4.7	საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია აანაზღაუროს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამიდან ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით გაღებული ხარჯები. აღნიშნული თანხა მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.		
		N1	14.1	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის ძირითადი მიზნებია: ა) ზიანის პრევენცია; ბ) გარემოს მდგომარეობის აღდგენა; გ) გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება; დ) გარემოს კვლევა.		
		N1	14.2	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის სახსრებს განკარგავს სამინისტრო, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.		

		N1	15.1.	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.		
6.1.a	გარემოსთვის ზიანის მიყენების ფაქტის დადგომის შემთხვევაში ოპერატორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს კომპეტენტურ ორგანოს სიტუაციის ყველა შესაბამისი ასპექტის შესახებ დადაუყოვნებლივ გადადგას: (a) ყველა განხორციელებადი ნაბიჯი შესაბამისი დამაბინძურებელების და/ან ზიანის მიყენების სხვა ფაქტორების კონტროლის, შემცირების, მოცილების ან სხვაგვარად მართვის მიზნით იმისათვის, რომ შემცირდეს ან აღმოიფხვრას გარემოს შემდგომი ზიანი ან უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ან მომსახურებების შემდგომი გაუარესება და	N1	5.1. „ა“და „ბ“	ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია: ა) მნიშვნელოვანი ზიანის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტს სამინისტროს ცხელი ხაზის მეშვეობით და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია; ბ) განახორციელოს საჭირო ღონისძიება ზიანის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესარბილებლად. გადადგას ყველა განხორციელებადი ნაბიჯი შესაბამისი დამაბინძურებლების ან/და ზიანის მიყენების სხვა ფაქტორების დაუყოვნებლივი კონტროლის, შეკავების, მოცილების ან სხვაგვარად მართვის მიზნით, იმისთვის, რომ შემცირდეს ან აღმოიფხვრას შემდგომი ზიანი ან უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე ან გარემოს შემდგომი გაუარესება;	სშ	
6.1.b	(b) აუცილებელი აღდგენითი ზომები მე- 7 მუხლის შესაბამისად.	N1	5.1.“გ“	ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია: გ) აანაზღაუროს ზიანი ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით, ხოლო მნიშვნელოვანი ზიანის	სშ	

				შემთხვევაში - ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელებით.		
6.2.a	კომპეტენტურ ორგანოს ნებისმიერ დროს უფლება აქვს: (a) მოსთხოვოს ოპერატორს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ნებისმიერ ზიანზე, რომელსაც ჰქონდა ადგილი;	N1	5.2.“ა“	დეპარტამენტი უფლებამოსილია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს: ა) მოსთხოვოს ინფორმაცია ზიანის შესახებ;	სშ	
6.2.b	(b) მიიღოს და მოითხოვოს ოპერატორისგან, ან მისცეს მას მითითებები ყველა იმ განხორციელებადი ნაბიჯების შესახებ, რაც აუცილებელია შესაბამისი დამაბინძურებლებლების დაუყოვნებლივი კონტროლის, შემცირების, მოცილების ან სხვაგვარი მართვის მიზნით და/ან ზიანის ნებისმიერი ფაქტორის შესახებ იმისათვის, რომ შემცირდეს ან თავიდან იქნას აცილებული გარემოსთვის დამატებითი ზიანის მიყენება და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება ან მომსახურებების დადატებითი გაუარესება;	N1	5.2.“ბ“	დეპარტამენტი უფლებამოსილია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს: ბ) მოსთხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ან/და განუსაზღვროს სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებები.	სშ	
6.2.c	(c) მოითხოვოს ოპერატორისგან აუცილებელი აღდგენითი ზომების მიღება;	N1	5.2.“გ“	დეპარტამენტი უფლებამოსილია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს: გ) მოსთხოვოს მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად;	სშ	
6.2.d	(d) მისცეს ოპერატორს მითითებები აუცილებლად მისაღები აღდგენითი	N1	5.2.“დ“	დეპარტამენტი უფლებამოსილია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს:	სშ	

	ზომების შესახებ, რომლებიც უნდა დაიცვას ოპერატორმა; ან			დ) მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით.		
6.2.e	(e) თავად მიიღოს აუცილებელი აღდგენითი ზომები.	N1 N1	8.8 8.9	ამ მუხლის მე-5-მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე დროს, თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი არ ასრულებს ამ მუხლის მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუქტით ან მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილ ვალდებულებას, დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიას, მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამაში არსებული ასიგნების ფარგლებში, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისია დადგენილი წესით შეიმუშავებს რეკომენდაციას მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი	სშ	

				ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის, ასევე ამ ღონისძიებების შესაბამისი დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის რეკომენდაცია წარედგინება სამინისტროს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრისა და ამ ღონისძიებისთვის შესაბამისი დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე.		
		N1	9.5	ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე დროს, თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი არ ასრულებს ვალდებულებას, დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიას, ზიანის		

				გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.		
		N1	9.6	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამაში შესაბამისი თანხების არსებობის შემთხვევაში, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისია დადგენილი წესით შეიმუშავებს რეკომენდაციას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის, ასევე ამ ორგანოსთვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. კომისიის აღნიშნული რეკომენდაცია წარედგინება სამინისტროს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრისა და ამ ორგანოსთვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.		
		N1	14.1	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის ძირითადი მიზნებია: ა) ზიანის პრევენცია; ბ) გარემოს მდგომარეობის აღდგენა; გ) გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება; დ) გარემოს კვლევა.		

		N1 N1	14.2 15.1.	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის სახსრებს განკარგავს სამინისტრო, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.		
6.3	კომპეტენტურმა ორგანომ ოპერატორისგან უნდა მოითხოვოს აღდგენითი ზომების მიღება. თუ ოპერატორი ვერ შეასრულებს პირველ პუნქტში ან მეორე პუნქტის (b), (c) ან (d) ქვეპუნქტში განსაზღვრულ ვალდებულებებს, ან თუ ოპერატორის დადგენა შეუძლებელია ან თუ მას არ მოეთხოვება მოცემულ დირექტივაში გათვალისწინებული ხარჯების გადახდა, კომპეტენტურმა ორგანომ ეს ზომები თავად უნდა მიიღოს უკიდურესი ზომების სახით.	N1

				კომისია დადგენილი წესით შეიმუშავებს რეკომენდაციას მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის, ასევე ამ ღონისძიებების შესაბამისი დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის რეკომენდაცია წარედგინება სამინისტროს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრისა და ამ ღონისძიებისთვის შესაბამისი დაფინანსების განსაზღვრის თაობაზე.		
		N1	9.5	ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე დროს, თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი არ ასრულებს ვალდებულებას, დეპარტამენტი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსდაცვითი პროგრამის კომისიას, ზიანის გამოსასწორებელი		

				ღონისძიებების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.		
		N1	9.6	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამაში შესაბამისი თანხების არსებობის შემთხვევაში, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისია დადგენილი წესით შეიმუშავებს რეკომენდაციას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის, ასევე ამ ორგანოსთვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. კომისიის აღნიშნული რეკომენდაცია წარედგინება სამინისტროს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრისა და ამ ორგანოსთვის შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.		
		N1	14.1	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის ძირითადი მიზნებია: ა) ზიანის პრევენცია; ბ) გარემოს მდგომარეობის აღდგენა; გ) გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება; დ) გარემოს კვლევა.		

		N1 N1	14.2 15.1.	გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის სახსრებს განკარგავს სამინისტრო, გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.		
7.1	ოპერატორები ვალდებულნი არიან, დანართი II-ის შესაბამისად, დაადგინონ პოტენციური აღდგენითი ზომები და წარუდგინონ ისინი კომპეტენტურ ორგანოს დასამტკიცებლად, თუ კომპეტენტური ორგანო არ განახორციელებს მოქმედებას, რომელიც განსაზღვრულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის (e) ქვეპუნქტში და ამავე მუხლის მე-3 პუნქტში.	N1

				გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებს და ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.		

7.2	კომპეტენტურმა ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი აღდგენითი ზომა უნდა განხორციელდეს დანართი II-ის შესაბამისად, როგორც საჭიროა, შესაბამისი ოპერატორის მონაწილეობით.	N1	8.5	დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან: ა) არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს სააგენტოს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტების გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ; ბ) არაუგვიანეს 180 კალენდარული დღის ვადაში, ამ მუხლის შესაბამისად, სააგენტოს წარუდგინოს მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი (ღონისძიებების ჩამონათვალით და მათი განხორციელების ვადებით). მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს თან უნდა ერთვოდეს აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის მიერ დადასტურებული მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის ხარჯთაღრიცხვა.	ნშ	საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დეტალურად დარეგულირდება დანართი II-ით გათვალისწინებული მოთხოვნები

		N1	8.6	მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტი ასევე უნდა შეიცავდეს ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების ამავე პუნქტებით დადგენილი რიგითობის დასაბუთებას.		
		N1	8.7	ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასაბუთება ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობის შესახებ, რაც გულისხმობს დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ ადექვატური ღონისძიებების გამოყენების საჭიროებას.		
		N1	11.1	სააგენტო ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმას იხილავს და ითანხმებს სააგენტოში წარდგენიდან 120 კალენდარული დღის ვადაში.		

				სააგენტოსთან შეთანხმებული გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესრულება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირისთვის სავალდებულოა.		
		N1	29.2.“ა.ბ“	საქართველოს მთავრობამ: ა) 2022 წლის 1 იანვრამდე მიიღოს დადგენილება: ა.ბ) „გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებისა და გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესის შესახებ“;		

7.3	იმ შემთხვევაში, თუ გარემოს ზიანი მიადგა რამოდენიმეჯერ ისე, რომ კომპეტენტურ ორგანოს არ შეუძლია უზრუნველყოს აუცილებელი აღდგენითი ზომების ერთდროული მიღება, კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს გადაწყვიტოს, უპირველეს ყოვლისა, გარემოსთვის მიყენებული თუ რომელი ზიანისთვის უნდა იქნას მიღებული აღდგენითი ზომები. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, კომპეტენტურმა ორგანომ, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა გაითვალისწინოს გარემოსთვის მიყენებული შესაბამისი ზიანის სხვადახვა შემთხვევის მახასიათებელი, სიდიდე და მნიშვნელობა და მისი ბუნებრივად აღდგენის შესაძლებლობა. ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკიც უნდა იყოს გათვალისწინებული.	N1 N1	7.4 29.2.“ა.ბ“	მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებს და ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობამ: ა) 2022 წლის 1 იანვრამდე მიიღოს დადგენილება: ა.ბ) „გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებისა და გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესის შესახებ“;	ნშ	საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღების საფუძველს წარმოადგენს მოცემული კანონპროექტი, რომელიც მიღებული არ არის და შესაბამისად, კანონის მიღებიდან და ამოქმედებიდან განისაზღვრა გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი და მოხდეს მისი მიღება მთავრობის მიერ.
7.4	კომპეტენტური ორგანო ვალდებულია მოიწვიოს მე-12 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პირები და ნებისმიერ შემთხვევაში პირები, რომელთა ტერიტორიაზეც აღდგენითი ზომები განხორციელდება, იმისათვის, რომ მათ წარმოადგინონ საკუთარი დაკვირვების შედეგები, რომელსაც კომპატენტური ორგანო გაითვალისწინებს.	N1	10.1	მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრაში დაინტერესებული პირის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სააგენტო ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს, მისი სააგენტოში წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, განათავსებს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.	სშ	

		N1	10.2	გეგმის პროექტის ვებგვერდზე განთავსებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სააგენტო იხილავს დაინტერესებული პირების მიერ ვებგვერდზე წერილობით წარმოდგენილ მოსაზრებებს/შენიშვნებს. საჭიროების შემთხვევაში სააგენტო დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს/მოსაზრებებს უგზავნის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს მათი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმაში ასახვის მიზნით.		
8.1	ოპერატორი ვალდებულია თავის თავზე აიღოს ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული დირექტივის შესაბამისად განხორციელებული თავიდან აცილებისა და აღდგენის ღონისძიებებთან.	N1	7.3	მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ამ მუხლით გათვალისწინებული გეგმების შემუშავებასა და გამასწორებელ ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით და პასუხისმგებლობით.	სშ	
8.2	მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა ამოიღოს, მათ შორის, ქონების უზრუნველყოფის მეშვეობით ან სხვა შესაბამისი გარანტიის მეშვეობით, ხარჯები იმ ოპერატორისგან, რომელმაც გამოიწვია ზიანი ან ზიანის შეუქცევადი საშიშროება, ან წარმოშვა ხარჯები მოცემული დირექტივის შესაბამისად განხორციელებული თავიდან აცილების ან აღდგენითი ღონისძიებებისთვის.	N1 N1	6.6 13.1	გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა პირს დაეკისრება მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ კანონის დანართი 2-ით გათვალისწინებული, გარემოსთვის	სშ	

	თუმცა, კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხარჯების მხოლოდ ნაწილის ამოღებისთვის, თუ მთლიანი ხარჯების ამოღებასთან დაკავშირებული დანახარჯები აღემატება ამოღებადი თანხის ოდენობას ან იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორის დადგენა შეუძლებელია.			განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, საქმიანობის დაწყებისთანავე გააჩნდეს შესაბამისი გარემოსდაცვითი რისკის ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება.		
8.3	ოპერატორს, მოცემული დირექტივის შესაბამისად, არ მოეთხოვება თავიდან აცილებისა და აღდგენით ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა, თუ იგი დაასაბუთებს, რომ გარემოსთვის ზიანის მიყენება ან ამგვარი ზიანის მიყენების შეუქცევადი საშიშროება:	N6	992	პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.		
	(a) გამოწვეული იყო მესამე მხარის გამო და ეს მაინც მოხდა მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი უსაფრთხოების ზომები მიღებული იყო; ან	N6	1005.1	თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.		
	(b) გამოწვეული იყო იმ სავალდებულო ბრძანების და მითითების შესრულების გამო, რომელიც გასცა სახელმწიფო ორგანომ, გარდა იმ ბრძანებისა და მითითებისა, რომელიც გაიცა ემისიის შემდგომ ან იმ შემთხვევის შემდგომ, რომელიც გამოწვეული იყო ოპერატორის საკუთარი საქმიანობით.			განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს.		

	ამ შემთხვევაში წევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ ოპერატორს მიეცეს გაღებული ხარჯების ამოღების შესაძლებლობა.					
8.4	წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ ნება დართონ ოპერატორს, რომ მან არ გადაიხადოს იმ აღდგენითი ღონისძიებების ხარჯები, რომლებიც მიღებულ იქნა მოცემული დირექტივის შესაბამისად, თუ ოპერატორი დაასაბუთებს, რომ ეს არ იყო გამოწვული მისი ბრალეულობის ან დაუდევრობის გამო და რომ გარემოსთვის ზიანის მიყენება გამოწვეული იყო: (a) იმ ემისიის ან მოვლენის გამო, რომელზეც ერთმნიშვნელოვანი სანქცია იქნა გაცემული იმ მოქმედი ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, რომლითაც სრულდება გაერთიანების მიერ მიღებული და დანართში III განსაზღვრული, ემისიის ან მოვლენის თარიღისათვის მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნები, რისი პირობების სრული დაცვითაც ჰქონდა ადგილი აღნიშნულ ემისიას ან მოვლენას; (b) ემისიის ან მოქმედების ან ამ მოქმედების დროს პროდუქტის სხვაგვარი გამოყენების გამო, რომელიც, ოპერატორის განცხადების მიხედვით, არ მიიჩნეოდა მოქმედებად, რომელიც გარემოს ზიანის მიაყენებდა იმ დროისათვის არსებული სამეცნიერო-				შ	ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე მოცემული პუნქტი სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება.

	ტექნიკური ცოდნის საფუძველზე, როდესაც ასეთ ემისიას ან მოქმედებას ჰქონდა ადგილი.					
8.5	კომპეტენტური ორგანოს მიერ, მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის და მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები არ ზღუდავენ შესაბამისი ოპერატორის მიერ, მოცემული დირექტივის შესაბამისად აღებულ პასუხისმგებლობას, ასევე არ ზღუდავენ ხელშეკრულების 87-ე და 88-ე მუხლებს.	N1	4.7	საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია აანაზღაუროს გარემოსდაცვითი ზიანის პროგრამიდან ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით გაღებული ხარჯები. აღნიშნული თანხა მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.	სშ	
9	მოცემული დირექტივით არ იზღუდება იმ ადგილობრივი რეგულაციების ნებისმიერი პირობა, რომლებიც შეეხება ხარჯების განაწილებას იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი გამოწვეულია მრავალი მხარის მიზეზით, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება პროდუქციის მწარმოებელსა და პროდუქციის მომხმარებელს შორის საკუთარი წილი პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხს.	N1	6.8	თუ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელია რამდენიმე პირი, მათ დაეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა.	სშ	
10	კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია წამოიწყოს სამართალწარმოება ხარჯების ამოღებასთან დაკავშირებით იმ ოპერატორის წინააღმდეგ, ან თუ ეს შესაფერისია, იმ მესამე მხარის წინააღმდეგ, რომელმაც გამოიწვია ზიანი ან ასეთი ზიანის	N1	26.1	ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ	სშ	

	შეუქცევადი საშიშროება, ნებისმიერ იმ ზომასთან მიმართებაში, რომელიც მიღებულ იქნა წინამდებარე დირექტივის შესაბამისად, ასეთი ზომების მიღების დასრულებიდან, ან პასუხისმგებელი ოპერატორის ან მესამე მხარის დადგენის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც აითვლება უფრო გვიანდელი თარიღიდან.			სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.		
		N7	282	დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ.		
		N5	$57^2.1$	გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის 10 წელი მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტიდან.		
		N5	$57^2.2$	გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელმა ორგანომ (შემდგომ – მაკონტროლებელი ორგანო) შეიტყო გარემოსთვის მიყენებული ზიანის და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის (შემდგომ – ვალდებული პირი) თაობაზე.		

11.1	წევრი სახელმწიფოები ნიშნავენ მოცემულ დირექტივაში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანო(ებ)ს.	N1 N1 N1 N1	3. „ო“ 3. „პ“ 3. „ჟ“ 3. „რ“	სამინისტრო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; მინისტრი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი; სააგენტო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტო; დეპარტამენტი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.	სშ	
11.2	კომპეტენტურ ორგანოს ევალება დაადგინოს, თუ რომელმა ოპერატორმა გამოიწვია გარემოს ზიანი ან ზიანის შეუქცევადი საშიშროება, შეაფასოს ზიანის მნიშვნელობა და განსაზღვროს, თუ რომელი აღდეგნითი ზომა უნდა იქნას მიღებული დანართი II-ის პირობების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი ოპერატორისგან მოითხოვოს შეფასების განხორციელება და მისთვის აუცილებელი ინფორმაციისა და მონაცემების მიწოდება.	N1 N1	6.1 6.4	ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დეპარტამენტი აფასებს, სახეზეა ზიანი, თუ მნიშვნელოვანი ზიანი. გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი ზიანის არსებობის შესახებ დეპარტამენტი იღებს მის მიერ ზიანის გამოვლენიდან არაუგვიანეს 120 კალენდარული დღის ვადაში. გადაწყვეტილების მიღების პროცესში დეპარტამენტი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვას. მნიშვნელოვანი	სშ	

				ზიანის არსებობის შესახებ დეპარტამენტის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.		
		N1	11.1	სააგენტო ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმას იხილავს და ითანხმებს სააგენტოში წარდგენიდან 120 კალენდარული დრის ვადაში. სააგენტოსთან შეთანხმებული გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესრულება მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირისთვის სავალდებულოა.		
11.3	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყველა საშუალება იმისათვის, რომ კომპეტენტურმა ორგანომ მიანიჭოს ძალაუფლება, ან მოსთხოვოს მესამე მხარეებს თავიდან აცილების და აუცილებელი აღდგენითი ზომების განხორციელება.	N1	4.3.“ა“	ამ მუხლის პირველი-მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ დადასტურდება მნიშვნელოვანი ზიანის გარდაუვალი საფრთხის არსებობა, დეპარტამენტი უფლებამოსილია საქმიანობის განმახორციელებელ პირს: ა) მოთხოვოს მნიშვნელოვანი ზიანის პრევენციისთვის/შერბილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;	სშ	
		N1	5.2.“ა“-„ბ“	დეპარტამენტი უფლებამოსილია ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს: ა) მოსთხოვოს ინფორმაცია ზიანის შესახებ; ბ) მოსთხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ან/და განუსაზღვროს		

				სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებები. გ) მოსთხოვოს მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განხორციელება ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად;		
11.4	მოცემული დირექტივის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ხდება თავიდან აცილების ან აღდგენის ზომების განხორციელების ვალდებულების დაკისრება, უნდა განსაზღვრავდეს ზუსტ საფუძვლებს, რასაც ეს გადაწყვეტილება ეფუძნება. ასეთი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ოპერატორს, რომელსაც ამავდროულად უნდა ეცნობოს სასამართლო დაცვის იმ სამართლებრივი საშუალების შესახებ, რომელზეც მას ხელი მიუწვდება შესაბამის წევრ სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე უნდა ეცნობოს იმ დროის მონაკვეთის შესახებ, რომელსაც აღნიშნული სასამართლო დაცვის სამართლებრივი საშუალება ექვემდებარება.	N2 N2	53.1 52.2	წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.	სშ	

12.1	ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს: (a) რომლებზეც გარემოსთვის ზიანის მიყენებამ იქონია ან შესაძლოა იქონიოს ზემოქმედება, ან (b) რომლებიც საკმარისად არიან დაინტერესებულნი გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებით, ან, ალტერნატიულად, (c) რომლებიც ამტკიცებენ უფლების დარღვევას, როდესაც წევრი სახელმწიფოს ადმინისტრაციული საპროცედურო კანონი მოითხოვს ამას წინაპირობის სახით, უფლება აქვთ წარუდგინონ კომპეტენტურ ორგანოს მათთვის ცნობილი გარემოსთვის ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის შეუქცევადი საშიშროების შემთხვევებთან დაკავშირებული დაკვირვების შედეგები და უფლება აქვთ კომპეტენტური ორგანოსგან მოითხოვონ ღონისძიების მიღება მოცემული დირექტივის შესაბამისად. ის, თუ რას წარმოადგენს „საკმარისად არიან დაინტერესებულნი“ და „უფლების დარღვევა“, უნდა განისაზღვროს წევრი სახელმწიფოების მიერ. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის დაინტერესება გარემოს დაცვის ხელშეწყობასთან და ადგილობრივი	N1 N1 N3	3. „ნ“ 10.1 9.4.“ა“	დაინტერესებული პირი - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული დაინტერესებული მხარე (მათ შორის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები); მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრაში დაინტერესებული პირის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სააგენტო ზიანის გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტს, მისი სააგენტოში წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, განათავსებს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. რეგულირების ობიექტის არაგეგმური შემოწმება ხორციელდება: ა) დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის, სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების, მოქალაქეების მომართვების (საჩივრების), (მათ შორის, „ცხელ ხაზზე“ შემოსული ინფორმაციის) შეტყობინებების საფუძველზე;	სშ	

	კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით, ითვლება საკმარის დაინტერესებად (b) ქვეპუნქტის მიზნებისთვის. ასეთ ორგანიზაციებს ასევე ითვლება, რომ გააჩნიათ უფლებები, რომლებიც შეიძლება დაირღვეს (c) ქვეპუნქტის მიზნებისთვის.					

12.2 12.3	ღონისძიების მიღების შესახებ მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ინფორმაცია და მონაცემები, რომლებიც ამყარებენ გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან მიმართებაში კომპეტენტური ორგანოსთვის წარდგენილ დაკვირვებების შედეგებს. თუ ღონისძიების მიღების შესახებ მოთხოვნა და მისი თანმხლები დაკვირვებების შედეგები დამაჯერებლად ავლენენ, რომ გარემოსთვის ზიანი მიყენებულია, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ასეთი დაკვირვებების შედეგები და მოითხოვოს ღონისძიების მიღება. ამ შემთხვევაში კომპეტენტური ორგანო შესაბამის ოპერატორს აძლევს შესაძლებლობას აუწყოს მას საკუთარი შეხედულებების თაობაზე ღონისძიების მიღებასთან დაკავშირებულ მოთხოვნასთან და მის თანმხლებ დაკვირვებების შედეგებთან მიმართებაში.	N1 N1

				ბ) დარღვევის ნიშნები; გ) დარღვევის ჩამდენი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, მისი (მათი) გარეგნული ნიშნები; დ) დარღვევის თვითმხილველები, აგრეთვე ის გარემოებები, რომლებიც მათთვის არის ცნობილი; ე) სხვა საჭირო ინფორმაცია.		
		N3	20.6	რეგულირების ობიექტის მხრიდან ინსპექტირების აქტის მიღებაზე (ხელმოწერაზე) უარის თქმის შემთხვევაში ინსპექტირების აქტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. რეგულირების ობიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს წარადგინოს აქტისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები აქტის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერასა და გაცნობაზე უარის თქმის მოტივები.		
12.4	კომპეტენტური ორგანო ვალდებულია, დაუყოვნებლივ და ნებისმიერ შემთხვევაში ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი პირობების დაცვით, პირველ პუნქტში გათვალისწინებულ პირებს,	N2	54.1	თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით	სშ	

	რომლებმაც კომპეტენტურ ორგანოს წარუდგინეს დაკვირვებების შედეგები, აცნობოს საკუთარი გადაწყვეტილებები, მიიღოს თუ უარყოს მოთხოვნა ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით და ვალდებულია უზრუნველყოფს საამისო მიზეზები.			დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.		
12.5	წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება ზარალის შეუქცევადი საშიშროების შემთხვევებთან მიმართებაში პირველი და მე-4 პუნქტების გამოუყენებლობასთან დაკავშირებით.				შ	ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე მოცემული პუნქტი სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს დისკრეციული უფლებამოსილება.
13.1	მე-12 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ პირებს გააჩნიათ ისეთ სასამართლოზე ან სხვა დამოუკიდებელ დამოუკერძოებელი სახელმწიფო ორგანოზე წვდომის უფლება, რომელსაც გააჩნია გადაწყვეტილებების პროცედურული და მატერიალურ-სამართლებრივი კანონიერების და კომპეტენტური ორგანოების მოქმედებების ან უმოქმედობის განხილვის კომპეტენცია მოცემული დირექტივის შესაბამისად.	N2	178.1	თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.	სშ	
13.2	მოცემული დირექტივა არ ზღუდავს იმ ადგილობრივი კანონმდებლობის რომელიმე დებულებას, რომელიც არეგულირებს მართლმსაჯულებაზე წვდომას და ასევე არ ზღუდავს იმ დებულებებს, რომლებითაც მოითხოვება ადმინსიტრაციული განხილვის	N2	178.2	ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და	სშ	

	პროცედურების დასრულება მანამ, სანამ მოხდება საკითხის სასამართლო წარმოებისთვის გადაცემა.			გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.		
		N2	178.3	პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.		
		N4	2.5	სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.		
14.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ შესაბამისი ეკონომიკური და ფინანსური ოპერატორების მიერ ფინანსური გარანტიის საშუალებებისა და ბაზრების განვითარებას, ასევე გადახდისუუნარობის შემთხვევაში				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

	ისეთი ფინანსური მექანიზმების განვითარებას, რომლის მიზანია ოპერატორების მიერ ფინანსური გარანტიის გამოყენება მოცემული დირექტივის შესაბამისად მათი პასუხისმგებლობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.					
15.1. 15.2. 15.3.	თუ გარემოსთვის ზიანის მიყენებას ზემოქმედება გააჩნია ან შესაძლოა გააჩნდეს ზემოქმედება რამოდენიმე წევრ სახელმწიფოზე, აღნიშნულმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, მათ შორის, ინფორმაციის შესაბამისი გაცვლის მეშვეობით, იმისათვის, რომ გარემოსთვის ნებისმიერი ასეთ მიყენებულ ზიანთან მიმართებაში მიღებულ იქნას თავიდან აცილების ღონისძიება, ხოლო სადაც ეს საჭიროა, აღდგენითი ღონისძიება. თუ გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევა დადგა, წევრი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ზიანის წარმოშობა, ვალდებულია პოტენციურად დაზარალებულ წევრ სახელმწიფოებს მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია. თუ წევრი სახელმწიფო დაადგენს ზიანის არსებობას მის საზღვრებში, რომელიც არ არის გამოწვეული მათ ფარგლებში, მას უფლება აქვს აცნობოს საკითხი კომისიას და				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

	ნებისმიერ სხვა შესაბამის წევრ სახელმწიფოს; მას უფლება აქვს გასცეს რეკომენდაციები თავიდან აცილების ან აღმოფხვრის ზომების მიღებასთან დაკავშირებით და მას უფლება აქვს მოითხოვოს, მოცემული დირექტივის შესაბამისად, იმ ხარჯების ამოღება, რაც მან გაიღო თავიდან აცილების ან აღმოფხვრის ზომების მიღებასთან დაკავშირებით.					
16.1. 16.2.	მოცემული დირექტივით არ უნდა აღიკვეთოს წევრი სახელმწიფოების მიერ უფრო მკაცრი დებულებების შენარჩუნება და მიღება, რომლებიც უკავშირდება გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას და მის აღმოფხვრას, მათ შორის დამატებითი ღონისძიებების დადგენას, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს ამ დირექტივით გათვალისწინებულ თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მოთხოვნებს, და დამატებითი პასუხისმგებელი მხარეების დადგენას. მოცემული დირექტივით არ უნდა აღიკვეთოს წევრი სახელმწიფოების მიერ შესაბამისი ღონისძიებების მიღება, როგორიცაა ხარჯების ორმაგი ამოღების აკრძალვა ისეთ სიტუაციებთან მიმართებაში, როდესაც ხარჯების ორმაგ ამოღებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მოცემული დირექტივით გათვალისწინებული კომპეტენტური				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

	ორგანოს და იმ პირის ერთდროული მოქმედების შედეგად, ვისი ქონებაც მოექცა გარემოსთვის მიყენებული ზიანის ზემოქმედების ქვეშ.					
17	მოცემული დირექტივა არ ვრცელდება: - ემისიით, მოვლენით ან შემთხვევის გამო გამოწვეულ ზიანზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-19 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ თარიღამდე; - ემისიით, მოვლენით ან შემთხვევის გამო გამოწვეულ ზიანზე, რომელსაც ადგილი აქვს მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თარიღის შემდეგ, როდესაც იგი გამოწვეულია განსაკუთრებული საქმიანობით, რომელიც მოხდა და დასრულდა აღნიშნულ თარიღამდე; - ზიანზე, იმ შემთხვევაში, თუ 30 წელზე მეტი გავიდა იმ ემისიიდან, მოვლენიდან ან შემთხვევიდან, რამაც გამოიწვია ზიანი, რომელსაც ჰქონდა ადგილი.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში
18.1.	კომისიამ უნდა შეაგროვოს წევრი სახელმწიფოებისაგან ინფორმაცია, რომელიც გავრცელებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/4 EC დირექტივის შესაბამისად, და რამდენადაც შესაძლებელია მიღებული გამოცდილების				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

	შესახებ ამ დირექტივასთან მიმართებით. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ამ დირექტივის VI დანართში მოცემულ მონაცემებს და მოგროვილი უნდა იქნეს 2022 წლის 30 აპრილამდე და ამის შემდეგ ყოველ 5 წელიწადში.					
18.2.	პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე, კომისია ახორციელებს ამ დირექტივის შეფასებას და აქვეყნებს მას 2023 წლის 30 აპრილამდე და ამის შემდეგ ყოველ 5 წელიწადში.					
18.3.	2020 წლის 31 დეკემბრისათვის კომისია შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც მოიცავს მე-2 მუხლში განსაზღვრულ ტერმინს ,, გარემოსდაცვითი ზიანი“.					
19.1.	წევრმა სახელმწიფოებმა დირექტივასთან შესაბამისობისთვის, 2007 წლის 30 აპრილისთვის უნდა აამოქმედონ კანონმდებლობა, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები. ისინი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აუწყონ ამის შესახებ კომისიას. წევრი სახელმწიფოების მიერ ასეთი ზომების მიღებისას მათში გათვალისწინებული უნდა იყოს მითითება				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

19.2.	მოცემულ დირექტივაზე ან უნდა ახლდეს ასეთი მითითება მათი ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. ასეთი მითითების გაკეთების მეთოდი განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მიერ. წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გააცნონ კომისიას ადგილობრივი კანონის მთავარი დებულებების ტექსტი, რომელსაც ისინი იღებენ იმ სფეროსთვის, რომელიც გათვალისწინებულია მოცემულ დირექტივაში, იმ ცხრილთან ერთად, რომელშიც ნაჩვენებია მოცემული დირექტივის დებულებების შესაბამისობა ადგილობრივი კანონმდებლობის დამტკიცებულ დებულებებთან.					
20	მოცემული დირექტივა ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღიდან.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში
21	წინამდებარე დირექტივა მიმართულია წევრი სახელმწიფოებისადმი.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში
დანართი I	**2(1)(A) მუხლში მითითებული კრიტერიუმები** ნებისმიერი ზიანის მნიშვნელობა, რომელსაც უარყოფითი ზემოქმედება გააჩნია ჰაბიტატების ან სახეობებისთვის				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

	ხელსაყრელი კონსერვაციის სტატუსის მიღწევასა თუ შენარჩუნებაზე, უნდა შეფასდეს იმ კონსერვაციის სტატუსთან მიმართებაში, რომელიც ზიანის მიყენების დროისთვის არსებობდა, იმ მომსახურებასთან მიმართებაში, რომელსაც მათ მიერ შექმნილი ხელსაყრელი პირობები უზრუნველყოფდნენ და მათი ბუნებრივი რეგენერაციის უნარიანობასთან მიმართებაში. საბაზისო მდგომარეობის მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილება უნდა დადგინდეს ისეთი შეფასებადი მონაცემების საფუძველზე, როგორიცაა: - ინდივიდების რაოდენობა, მათი სიმჭიდროვე და ტერიტორია, რომელზეც ისინი გავრცელებულნი არიან; - განსაკუთრებული ინდივიდების ან დაზიანებული ტერიტორიის როლი სახეობის ან ჰაბიტატის კონსერვაციასთან მიმართებაში, სახეობის ან ჰაბიტატის იშვიათობა (შეფასებული ადგილობრივ, რეგიონალურ და შედარებით ფართო დონეზე, მათ შორის გაერთიანების დონეზე); - სახეობის გამრავლებისუნარიანობა (იმ სახეობისათვის ან პოპულაციისთვის დამახასიათებელი დინამიკის მიხედვით), მისი სიცოცხლისუნარიანობა ან ჰაბიტატის ბუნებრივი რეგენერაციის უნარიანობა (მისი დამახასიათებელი სახეობის ან					

	პოპულაციებისთვის სპეციფიური დინამიკის მიხედვით); - რაიმე ჩარევის გარეშე, გარდა გაზრდილი თავდაცვითი ზომებისა, მიყენებული ზიანის შემდეგ სახეობების ან ჰაბიტატის მოკლე დროში აღდგენის უნარიანობა და მისი მიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომელიც შეესაბამება ან აღემატება საბაზისო მდგომარეობას, მხოლოდ და მხოლოდ სახეობების ან ჰაბიტატის დინამიკის საფუძველზე. ადამიანის ჯანმრთელობაზე დასაბუთებული ზემოქმედების მქონე ზიანი კლასიფიცირებულ უნდა იქნას როგორც მნიშვნელოვანი ზიანი. მნიშვნელოვან ზიანად არ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას შემდეგი ზიანი: - უარყოფითი ცვლილებები, რომლებიც იმაზე მცირეა, ვიდრე ის ბუნებრივი ცვლილებები, რომელიც მიჩნეულია ნორმალურ ცვლილებად შესაბამისი სახეობისა თუ ჰაბიტატისთვის; - უარყოფიითი ცვლილებები, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ მიზეზებთან ან რომლებიც შედეგია ინტერვენციისა, რომელიც ობიექტების ნორმალურ მართვასთან არის დაკავშირებული, როგორც					

	განსაზღვრულია ჰაბიტატის შესახებ ჩანაწერებში ან მიზნობრივ დოკუმენტებში, ან როგორც მფლობელები ან მესაკუთრეები ამას ადრე ახორციელებდნენ; - იმ სახეობებისთვის ან ჰაბიტატებისთვის ზიანის მიყენება, რომლებიც მოკლე დროში უნდა დაუბრუნდნენ ისეთ მდგომარეობას ინტერვენციის გარეშე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სახეობების ან ჰაბიტატის დინამიკის წყალობით შეესაბამება საბაზისო მდგომარეობას ან ისეთ მდგომარეობას, რომელიც შეესაბამება ან აღემატება საბაზისო მდგომარეობას.					
დანართი II	**გარემოსთვის ზიანის მიყენების აღმოფხვრა** მოცემული დანართი განსაზღვრავს იმ ზოგად სტრუქტურას, რომელიც დაცული უნდა იქნას გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ყველაზე შესაფერისი ზომის შერჩევისას. **1. წყლისთვის ან დაცული სახეობებისთვის ან ბუნებრივი ჰაბიტატებისთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრა** წყლისთვის ან დაცული სახეობებისთვის ან ბუნებრივი ჰაბიტატებისთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრა წყლისთვის ან დაცული სახეობებისთვის ან ბუნებრივი ჰაბიტატებისთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრა მიიღწევა საბაზისო მდგომარეობამდე მიყვანის გზით,	N1 N1	3.“ი“ 7.1.	**საკომპენსაციო გამასწორებელი ღონისძიება** - მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას განსახორციელებელი ნებისმიერი ქმედება, რომლის მიზანია ბუნებრივი რესურსების ან/და სერვისების შუალედური დანაკარგების კომპენსაცია, რომელსაც ადგილი აქვს მნიშვნელოვანი ზიანის დადგომიდან გამასწორებელი ღონისძიებების სრული ეფექტის მიღწევამდე; მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ან მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაკისრება გულისხმობს პირის ვალდებულებას, განახორციელოს ზიანის გამასწორებელი	ნშ	აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დეტალურად დარეგულირდება დანართი II-ის მოთხოვნები

	პირველადი, დამატებითი და მაკომპენსირებადი აღმოფხვრის ღონისძიებების მეშვეობით, სადაც: (a) „პირველადი“ აღმოფხვრის ღონისძიება ნიშნავს აღმოფხვრის ნებისმიერ ზომას, რომლის საფუძველზეც დაზიანებული ბუნებრივი რესურსი და/ან გაუარესებული მომსახურება უბრუნდება ან უახლოვდება საბაზისო მდგომარეობას; (b) „დამატებითი“ აღმოფხვრის ღონისძიება ნიშნავს აღმოფხვრის ნებისმიერ ზომას, რომელიც მიიღება ბუნებრივ რესურსთან და/ან სერვისთან მიმართებაში იმის საკომპენსაციოდ, თუ პირველადი აღმოფხვრის ღონისძიების შედეგად არ მოხდა დაზიანებული ბუნებრივი რესურსების და/ან მომსახურებების მთლიანად აღდგენა; (c) „მაკომპენსირებელი“ აღმოფხვრის ღონისძიება ნიშნავს ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც მიიღება ბუნებრივი რესურსების და/ან მომსახურების შუალედური დანაკარგების საკომპენსაციოდ, რომელსაც ადგილი აქვს ზიანის დადგომის თარიღიდან მანამ, სანამ პირველადი აღმოფხვრის ღონისძიება სრულად არ შესრულდება;	N1

	(d) "შუალედური დანაკარგები" ნიშნავს დანაკარგებს, რომლებიც შედეგად მოსდევს იმ ფაქტს, როდესაც დაზიანებული ბუნებრივი რესურსები და/ან მომსახურება ვერ უზრუნველყოფენ მათი ეკოლოგიური ფუნქციის შესრულებას ან თუ ვერ უზრუნველყოფენ მომსახურებას სხვა ბუნებრივი რესურსებისთვის ან საზოგადოებისთვის მანამ, სანამ პირველადი ან მაკომპენსირებელი ღონისძიებები არ ამოქმედდება. იგი არ ითვალისწინებს საზოგადოების წევრების ფინანსურ კომპენსაციას. თუ პირველადი მაკომპენსირებელი ღონისძიებების შედეგად გარემო არ დაუბრუნდა მის თავდაპირველ მდგომარეობას, მაშინ მიღებული უნდა იქნას დამატებითი აღმოფხვრის ღონისძიება. გარდა ამისა, მაკომპენსირებლი აღმოფხვრის ღონისძიება მიღებულ იქნება შუალედური დანაკარგების კომპენსაციის მიზნით. გარემოსთვის ზიანის მიყენების აღმოფხვრა, წყლისთვის ან დაცული სახეობებისთვის ან ბუნებრივი ჰაპიტატებისთვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით, ასევე გულისხმობს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკისგან გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრას. 1.1 აღდგენის ღონისძიების მიზნები	N1 N1 N1	8.2 8.3 8.4	გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა. თუ დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა შესაძლებელია გონივრულ ვადებში და აღნიშნული არ არის დაკავშირებული არათანაზომიერ ხარჯებთან, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება. თუ დადგინდება, რომ შეუძლებელია დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა ან აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია გონივრულ ვადებში ან დაკავშირებულია არათანაზომიერ ხარჯებთან, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის ვალდებულება. თუ დადგინდება, რომ შეუძლებელია დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა ან აღნიშნულის განხორციელება გონივრულ ვადებში ან დაკავშირებულია არათანაზომიერ ხარჯებთან, მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე		

	პირველადი აღდგენის ღონისძიების მიზანი 1.1.1 პირველადი აღდგენის ღონისძიების მიზანია დაზიანებული ბუნებრივი რესურსების და/ან მომსახურების საბაზისო მდგომარეობამდე მიყვანა; დამატებითი აღდგენის ღონისძიების მიზანი 1.1.2 თუ დაზიანებული ბუნებრივი რესურსები და/ან მომსახურებები არ დაუბრუნდა საბაზისო მდგომარეობას, მაშინ მიღებულ უნდა იქნას დამატებითი აღდგენის ღონისძიება. დამატებითი აღდგენის ღონისძიების მიზანია მსგავსი დონის ბუნებრივი რესურსების ან მომსახურებების მიწოდება, მათ შორის, თუ ეს შესაფერისია, ალტერნატიული ობიექტისა, რომელთა უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი საბაზისო მდგომარეობას დაუბრუნებოდა. სადაც ეს შესაძლებელია და შესაფერისია, ალტერნატიული ობიექტი გეოგრაფიულად უნდა იყოს დაკავშირებული დაზიანებულ ობიექტთან, ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. მაკომპენსირებელი აღდგენის ღონისძიებების მიზანი	N1	29.2. “ა.ბ“ და „ა.დ“	პასუხისმგებელ პირს ეკისრება დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ ადექვატური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება. საქართველოს მთავრობამ: ა) 2022 წლის 1 იანვრამდე მიიღოს დადგენილება: ა.ბ) „გარემოზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის კრიტერიუმებისა და გამასწორებელი ღონისძიებების გეგმის შედგენის წესის შესახებ“; ა.დ) „დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი სანაცვლო/ადექვატური ღონისძიებების შერჩევის წესის შესახებ“.		

	1.1.3 მაკომპენსირებელი აღდგენის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმ ბუნებრივი რესურსების ან მომსახურების შუალედური დანაკარგების კომპენსაციის მიზნით, რომლებიც ელოდებიან პირველად მდგომარეობამდე აღდგენას. ასეთი კომპენსაცია გულისხმობს დაცული ბუნებრივი ჰაბიტატებისა და სახეობების, ან წყლისთვის დამატებით გამაუმჯობესებელ ღონისძიებებს დაზიანებულ თუ ალტერნატიულ ობიექტზე. იგი არ გულისხმობს საზოგადოების წევრების ფინანსურ კომპენსაციას. 1.2 აღმოფხვრის ზომების დადგენა პირველადი აღმოფხვრის ზომების დადგენა 1.2.1 გათვალისწინებული იქნება ალტერნატივები, რომლებიც შედგება ღონისძიებებისგან, სადაც გათვალისწინებულია ბუნებრივი რესურსების დამომსახურებების პირდაპირ, ან ბუნებრივი აღდგენის მეშვეობით, საბაზისო მდგომარეობამდე დაჩქარებულ ვადაში მიყვანა. დამატებითი და მაკომპენსირებელი აღმოფხვრის ზომების დადგენა 1.2.2 დამატებითი და მაკომპენსირებელი აღმოფხვრის ზომების მასშტაბის					

	დადგენისას, პირველ რიგში გაითვალისწინება რესურსი-რესურსთან ან მომსახურება-მომსახურებასთან მიმართებაში თანაზომიერების მიდგომები. ამ მიდგომების მიხედვით, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნას საქმიანობა, რომლის შედეგადაც ხდება ისეთივე ბუნებრივი რესურსების და/ან მომსახურებების მიწოდება და ისეთივე ხარისხითა და რაოდენობით, როგორსაც უზრუნველყოფს საქმიანობა, რომელსაც მიადგა ზიანი. სადაც ეს შეუძლებელია, მაშინ უნდა მოხდეს ალტერნატიული ბუნებრივი რესურსების და/ან მომსახურებების მიწოდება. მაგალითად, ხარისხის შემცირების კომპენსირება შესაძლებელია აღმოფხვრის ზომების რაოდენობის ზრდის ხარჯზე; 1.2.3 თუ შეუძლებელია რესურსი-რესურსთან ან მომსახურება-მომსახურებასთან მიმართებაში თანაზომიერების მიდგომების გამოყენება, მაშინ უნდა გამოვიყენოთ შეფასების ალტერნატიული ტექნიკა. კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს დაადგინოს მეთოდი, მაგალითად მონეტარული/ფულადი შეფასების მეთოდი იმისათვის, რომ განისაზღვროს აუცილებელი დამატებითი და მაკომპენსირებელი აღმოფხვრის ზომების აუცილებლობა. თუ დაკარგული რესურსების და/ან მომსახურებების					

	შეფასება ნაცადი მეთოდია, მაგრამ ბუნებრივი რესურსების და/ან მომსახურების ჩანაცვლების შეფასება ვერ სრულდება გონივრული დროის მონაკვეთში ან გონივრული ხარჯების ფარგლებში, მაშინ კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს აირჩიოს ისეთი აღმოფხვრის ზომები, რომელთა ხარჯები თანაზომიერია დაკარგული ბუნებრივი რესურსების და/ან მომსახურებების სავარაუდო ფულადი ღირებულებისა; დამატებითი და მაკომპენსირებელი აღმოფხვრის ზომების შემუშავება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ მათ უზრუნველყონ დამატებითი ბუნებრივი რესურსები და/ან მომსახურება, აღმოფხვრის ზომების დროსთან დაკავშირებული პრივილეგიებისა და დროის პროფილის ასახვის მიზნით. მაგალითად, რაც უფრო მეტი დროის პერიოდია საჭირო საბაზისო მდგომარეობამდე აღდგენისთვის, მით უფრო დიდი რაოდენობის მაკომპენსირებელი აღმოფხვრის ზომების მიღება იქნება საჭირო (სხვა საკითხები ექვივალენტურია). 1.3 აღმოფხვრის ზომების ალტერნატივების შერჩევა 1.3.1 აღმოფხვრის ზომების გონივრული ალტერნატივები უნდა შეფასდეს საუკეთესო					

	ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენებით, შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: - თითოეული ალტერნატივის ზემოქმედება საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე; - ალტერნატივის განხორციელების ხარჯები; - თითოეული ალტერნატივის წარმატების ალბათობა; - რამდენად იქნება შესაძლებელი თითოეული ალტერნატივის მეშვეობით სამომავლო ზიანის თავიდან აცილება და ამ ალტერნატივის განხორციელების შედეგად დამატებითი ზიანისთვის თავს არიდება; - რამდენად იქნება დადებითი შედეგის მომტანი თითოეული ალტერნატივა ბუნებრივი რესურსების და/ან მომსახურების თითოეული კომპონენტისთვის; - თითოეული ალტერნატივის შემთხვევაში რამდენად მიიღება მხედველობაში შესაბამისი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული საკითხები და ადგილმდებარეობისთვის დამახასიათებელი სხვა შესაბამისი ფაქტორები;					

	- დროის ის ხანგრძლივობა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღდგენა იყოს ეფექტური; - რამდენადაა შესაძლებელი თითოეული ალტერნატივის შემთხვევაში, იმ ობიექტის საბაზისო მდგომარეობამდე აღდგენა, რომელსაც მიადგა მიზანი; - გეოგრაფიული კავშირი ობიექტთან, რომელსაც მიადგა ზიანი. 1.3.2 აღმოფხვრის ზომების სხვადასხვა იდენტიფიცირებული ალტერნატივების შეფასებისას, შესაძლებელია შერჩეულ იქნას ის პირველადი აღმოფხვრის ზომები, რომლებიც სრულად არ აღადგენენ ან შედარებით ნელი ტემპით აღადგენენ დაზიანებულ წყალს ან დაცულ სახეობებს ან ბუნებრივ ჰაბიტატს მათ საბაზისო მდგომარეობამდე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბუნებრივი რესურსები და/ან მოსახურებები, რომლებიც გადაწყვეტილების შედეგად უკვე განხორციელდა პირველად ობიექტზე, უკვე კომპენსირებულია დამატებითი და მაკომპენსირებელი ღონისძიებების გაძლიერების ხარჯზე, იმ დონის ბუნებრივი რესურსების და/ან მომსახურებების მისაწოდებლად, რა დონეზეც არსებობდა					

	ასეთი ბუნებრივი რესურსები და მომსახურება. იგივე შემთხვევა გვაქვს მაშინ, მაგალითად, როდესაც თანაბარი ბუნებრივი რესურსები და/ან მომსახურებები შეიძლება მიწოდებულ იქნას ნებისმიერ ადგილას მცირე ხარჯებით. ასეთი დამატებითი აღმოფხვრის ზომები განისაზღვრება პუნქტში 1.2.2 მოცემული წესების შესაბამისად. 1.3.3. პუნქტში 1.3.2. განსაზღვრული წესების მიუხედავად და მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს მიიღოსგადაწყვეტილება დამატებითი აღმოფხვრის ზომების მიუღებლობასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ: (a) უკვე მიღებული აღმოფხვრის ზომები იძლევიან იმის გარანტიას, რომ აღარ არსებობს ადამიანის ჯანმთელობაზე, წყალზე ან დაცულ სახეობებზე და ბუნებრივ ჰაბიტატებზე უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვანი რისკი, და (b) იმ აღმოფხვრის ზომების ხარჯები, რომელთა მიღება უნდა მოხდეს საბაზისო მდგომარეობის ან მისი მსგავსი დონის მიღწევის მიზნით, არაპროპორციულია იმ გარემო პირობების პრიორიტეტების მიმართ, რომლებსაც აღნიშნული აღმოფხვრის ზომების შედეგად მივიღებთ.					

	2. მიწისთვის მიყენებული ზიანის აღდგენა აუცილებელი ზომები უნდა იყოს მიღებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას, როგორც მინიმუმ, შესაბამისი დამაბინძურებლების ამოღება, მათი მართვა, იზოლირება ან შემცირება ისე, რომ დაბინძურებული მიწა, ზიანის მიყენების დროისთვის მისი მიმდინარე ან სამომავლო გამოყენების გათვალისწინებით, აღარ ქმნიდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების რისკს. ასეთი რისკების არსებობა შესაძლებელია შეფასდეს რისკის შეფასების პროცედურების მეშვეობით, ნიადაგის თვისებებისა და ფუნქციის, მასში მავნებელი ნივთიერებების, პრეპარატების, ორგანიზმებისა თუ მიკრო-ორგანიზმების ტიპისა და კონცენტრაციის, მათი რისკისა და შესაძლო გავრცელების გათვალისწინებით. მიწის გამოყენების საკითხი შესაძლებელია დაზუსტდეს ზიანის მიყენების მომენტისთვის ძალაში არსებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიწითსარგებლობის რეგულაციების ან სხვა შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე. მიწათსარგებლობის ცვლილების შემთხვევაში, მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედება თავიდან იქნას აცილებული.					

	მიწათსარგებლობის ან სხვა შესაბამისი რეგულაციების არარსებობის შემთხვევაში, კონკრეტული ტერიტორიის გამოყენების საკითხი განისაზღვრება იმ ტერიტორიის მახასიათებლების მიხედვით, რომელსაც მიადგა ზიანი, ამ ზიანის შესაძლო განვითარების გათვალისწინებით. ბუნებრივი აღდგენის ალტერნატივა, რომელიც წარმოადგენს ალტერნატივას, რომლის დროსაც გამოირიცხება ადამიანის პირდაპირი ჩარევა აღდგენის პროცესში, ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული.					
დანართი III	**3(1) მუხლში მითითებული აქტივობები** 1. სამონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებული ოპერაციები, რომლებიც ექვემდებარება ნებართვას, დაბინძურების თავიდან აცილებისა და კონტროლის ინტეგრირებული მეთოდის შესახებ საბჭოს 1996 წლის 24 სექტემბრის დირექტივის 96/61/EC შესაბამისად. ეს ნიშნავს დირექტივის 96/61/EC დანართში I ჩამოთვლილ საქმიანობას, გარდა სამონტაჟო სამუშაოებისა და სამონტაჟო სამუშაოების ნაწილისა, რომლებიც გამოიყენება ახალი პროდუქციისა და პროცესების გამოკვლევის, განვითარებისა და გამოცდისთვის.	N1	**დანართი 2**	**გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობები** 1. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართით განსაზღვრული საქმიანობები; 2. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართით განსაზღვრული საქმიანობები, რომლებიც ამავე კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის შედეგად დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას; 4. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა;	სშ	

	2. ნარჩენების მართვის ოპერაციები, მათ შორის ნარჩენების და საშიში ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება, ამოღება და თავიდან მოცილება, ასეთი ოპერაციების ზედამხედველობის ჩათვლით და ნარჩენების სანაყარე ადგილების შემდგომი მოვლა, რაც მოითხოვს ნებართვას ან რეგისტრაციას ნარჩენების შესახებ საბჭოს 1975 წლის 15 ივლისის დირექტივის 75/442/EEC და საშიში ნარჩენების შესახებ საბჭოს 1991 წლის 12 დეკემბრის დირექტივის 91/689/EEC შესაბამისად. ეს ოპერაციები მოიცავს, სხვებთან ერთად, ნაგავსაყრელების ფუნქციონირებას ნარჩენების ნაგავსაყრელის შესახებ საბჭოს 1999 წლის 26 აპრილის 1999/31/EC დირექტივისა და ნარჩენების ინცინერაციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 4 დეკემბრის 2000/76/EC დირექტივის შესაბამისად. მოცემული დირექტივის მიზნებისთვის, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნულ ოპერაციებში არ იყოს გათვალისწინებული ურბანული ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობებიდან გამომავალი საკანალიზაციო შლაკების გავრცელება, რომელთა გაწმენდა მიღებული და აპრობირებული სტანდარტებით			5. სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, რომელიც შედის ,,ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 ივლისის N32 დადგენილების რეგულირების სფეროში; 6. სახიფათო ტვირთების გადაზიდვა, რომელიც შედის „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის N263 ბრძანების რეგულირების სფეროში; 7. ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა; 8. სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.		

	მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის. 3. ქვეყნის შიგნით განლაგებულ ტერიტორიულ ზედაპირულ წყლებში ყველა სახის ჩაღვრა, რაც მოითხოვს საამისო უფლებამოსილებას, გაერთიანების წყლის გარემოში გარკვეული საშიში ნივთიერებების ჩაღვრით გამოწვეული დაბინძურების შესახებ საბჭოს 1976 წლის 4 მაისის 76/464/EEC დირექტივის შესაბამისად. 4. ნივთიერებების ჩაღვრა გრუნტის წყლებში, რომლებიც მოითხოვენ წინასწარ უფლებამოსილებას გარკვეული საშიში ნივთიერებების გამო გამოწვეული გრუნტის წყლების დაბინძურებისგან დაცვის შესახებ საბჭოს 1979 წლის 17 დეკემბრის 80/68/EEC დირექტივის შესაბამისად. 5. დამაბინძურებლების ზედაპირულ წყლებში ან გრუნტის წყლებში ჩაღვრა ან შეშვება, რაც მოითხოვს ნებართვას, უფლებამოსილებას ან რეგისტრაციას საბჭოს 2000/60/EC დირექტივის შესაბამისად; 6. წყალაღება და წყლის შეგუბება, რაც ექვემდებარება უფლებამოსილების					

	წინასწარ მოპოვებას 2000/60/EC დირექტივის შესაბამისად; 7. შემდეგი ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების წარმოება, გამოყენება, შენახვა, დამუშავება, შევსება, გაშვება გარემოში და მათი ადგილზე გადატანა: (a) საშიში ნივთიერებები, რომლებიც განსაზღვრულია საშიში ნივთიერებების კლასიფიკაციასთან, შეფუთვასთან და ეტიკეტირებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ საბჭოს 1967 წლის 27 ივნისის 67/548/EEC დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში; (b) საშიში პრეპარატები, რომლებიც განსაზღვრულია საშიში პრეპარატების კლასიფიკაციასთან, შეფუთვასთან და ეტიკეტირებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ ევროპარლამენტის და საბჭოს 1999 წლის 31 მაისის 1999/45/EC დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში; (c) მცენარეთა დაცვის პროდუქცია, როგორც ეს განსაზღვრულია მცენარეთა დაცვის					

	პროდუქციის ბაზარზე განთავსების შესახებ საბჭოს 1991 წლის 15 ივლისის 91/414/EEC დირექტივის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში; (d) ბიოციდური (სიცოცხლისათვის მავნე) პროდუქცია, როგორც ეს განსაზღვრულია ბიოციდური პროდუქციის ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით ევროპარლამენტისა და საბჭოს 1998 წლის 16 თებერვლის 98/8/EC დირექტივის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (a) ქვეპუნქტში. 8. საშიში საქონლის ან დამაბინძურებელი საქონლის ტრანსპორტირება საავტომობილო გზის, რკინიგზის, ქვეყნის შიდა, ტერიტორიული წყლის ტრანსპორტის, ზღვის ან საჰაერო ტრანსპორტის მეშვეობით, როგორც ეს განსაზღვრულია საშიში საქონლის საავტომობილო გზის მეშვეობით ტრანსპორტირების თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების დაახლოების შესახებ საბჭოს 1994 წლის 21 ნოემბრის 94/55/EC დირექტივის დანართში A, ან საქონლის რკინიგზის მეშვეობით ტრანსპორტირების თაობაზე წევრი სახელმწიფოების კანონმდებელობების დაახლოების შესახებ საბჭოს 1996 წლის 23 ივლისის 96/49/EC დირექტივის დანართში, ან როგორც ეს განსაზღვრულია იმ ხომალდებისთვის დაწესებული მინიმალური მოთხოვნების შესახებ საბჭოს					

	1993 წლის 13 სექტემბრის დირექტივაში 93/75/EEC, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულება საშიში ან დამაბინძურებელი საქონლის დატოვებასთან დაკავშირებით ან ტოვებენ გაერთიანების პორტებს და გადააქვთ საშიში ან დამაბინძურებელი საქონელი. 9. ის სამონტაჟო სამუშაოები, რომლებიც ექვემდებარებიან საამისო უფლებამოსილებას სამრეწველო აგრეგატების გამო ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საბჭოს 1984 წლის 28 ივნისის დირექტივის 84/360/EEC შესაბამისად, ნებისმიერი იმ დამაბინძურებელი ნივთიერების ჰაერში გაფრქვევასთან დაკავშირებით, რომელიც ზემოთ აღნიშნულ დირექტივაშია გათვალისწინებული; 10. ნებისმიერი საქმიანობა, რომლის დროსაც ხდება მიკრო-ორგანიზმების გენეტიკური მოდიფიცირება, ან რომლის დროსაც ხდება ამ გგმ-ის კულტივირება, შენახვა, ტრანსპორტირება, როგორც ეს განსაზღვრულია გენეტიკურად მოდიფიცირებული მიკრო-ორგანიზმების მოდიფიცირების, კულტივირების, შენახვის და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით კავშირის 1990 წლის 23 აპრილის 90/219/EEC დირექტივაში;					

	11. გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ნებაყოფლობითი გაფრქვევა გარემოში, ტრანსპორტირება და მათი ბაზარზე განთავსება, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 2001/18/EC; 12. ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა ევროკავშირის ფარგლებში ან მის ფარგლებს გარეთ, რაც მოითხოვს უფლებამოსილებას ან იკრძალება ევროპის გაერთიანების ფარგლებში ან მის გარეთ ნარჩენების გადაზიდვის ზედამხედველობსა და კონტროლის შესახებ საბჭოს 1993 წლის 1 თებერვლის (EEC) No 259/93 რეგულაციის საფუძველზე. 13. სამთო მოპოვებითი წარმოების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ 2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/21/EC დირექტივის შესაბამისად. 14. ნახშირორჟანგის გეოლოგიურად შენახვისათვის განკუთვნილი მარაგების ადგილების ოპერირების წესის შესახებ 2009 წლის 23 აპრილის 2009/31/EC დირექტივის შესაბამისად.					

დანართი IV	**4(2) მუხლში მითითებული საერთაშორისო კონვენციები** (a) ნავთობით დაბინძურების შედეგად მიყენებულ ზიანზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ 1992 წლის 27 ნოემბრის საერთაშორისო კონვენცია; (b) ნავთობით დაბინძურების შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციის მიზნით საერთაშორისო ფონდის დაფუძნებასთან დაკავშირებული 1992 წლის 27 ნოემბრის საერთაშორისო კონვენცია; (c) საბუნკერე ნავთობით დაბინძურების შედეგად მიყენებულ ზიანზე სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ 2001 წლის 23 მარტის საერთაშორისო კონვენცია; (d) საზიანო და ტოქსიკური ნივთიერებების ზღვით გადაზიდვასთან დაკავშირებით მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისა და ზიანის კომპენსაციის შესახებ 1996 წლის 3 მაისის საერთაშორისო კონვენცია; (e) საავტომობილო გზით, რკინიგზით და შიდა სანავიგაციო ხომალდებით საშიში საქონლის გადაზიდვისას წარმოშობილ ზიანზე სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

	დაკავშირებილი 1989 წლის 10 ოქტომბრის კონვენცია.					
დანართი V	**4(4) მუხლში მითითებული საერთაშორისო ინსტრუმენტები** (a) 1960 წლის 29 ივლისის პარიზის კონვენცია მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ ბირთვული ენერგიის სფეროში და ბრუსელის 1963 წლის 31 იანვრის დამატებითი კონვენცია; (b) 1963 წლის 21 მაისის ვენის კონვენცია რადიოაქტივობის შედეგად მიყენებულ ზიანზე პასუხსიმგებლობის შესახებ; (c) რადიოაქტივობის შედეგად მიყენებული ზიანის დამატებით კომპენსაციასთან დაკავშირებული 1997 წლის 12 სექტემბრის კონვენცია; (d) ვენის კონვენციისა და პარიზის კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებული 1988 წლის 21 სექტემბრის ერთობლივი პროტოკოლი; (e) 1971 წლის 17 დეკემბრის ბრიუსელის კონვენცია რადიოაქტიური მასალის ზღვით გადატანის სფეროში სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში

დანართი VI	**18(1) მუხლში მითითებული ინფორმაცია და მონაცემები** მე-18 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია მოიცავს ამ დირექტივის შესაბამისად გარემოზე მიყენებული ზიანის შემთხვევებს, თითოეული ინსტანციისთვის შემდეგი ინფორმაციითა და მონაცემებით: 1. გარემოზე მიყენებული ზიანი სახეობა, წარმოშობის თარიღი ან/და ზიანის აღმოჩენა გარემოზე მიყენებული ზიანის ტიპი კლასიფიცირდება, როგორც დაცული სახეობებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების, წყლის და მიწის ზიანი, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-2 მუხლის პირველი პუნქტით. 2. III დანართით გათვალისწინებული საქმიანობების ჩამონათვალი. წევრი სახელმწიფოები უნდა ფლობდნენ სხვა ნებისმიერ შესაბამის ინფორმაციას დირექტივის აღსრულებიდან მიღებული გამოცდილების შესახებ.				ას	იხ. დირექტივის პირველი მუხლის კომენტარი მე-7 სვეტში